

ნახ. ბ. ფირცხალაშვილი



— ასე ტკბილად დამიბერლით, უვილფო...
— მორჩი, კაცო, აგზავს! ეგ „დუბლიონა“ კაინადე! ვერა ხედავ.
კურა სიცივისგან სულ დაილია?!

საახალწლო ბარათი

ნ ი ა ნ ბ ს

ნეტავი ვიყო მესტივირე, გუდას გულდაგულ ვბერავდე,
სათქმელ სიტყვას და სამღერალს უჩუმრად მოვიხელავდე.

დღეს სულ სხვა დღეა — ნარჩევი, შენთვისაც არარვიითი,
გულიდან მოდის, თუ მოდის, ჩემი რითმების ქვირითი.

ცას (მესამოცეს) ვეწიეთ! რა დიდ სიბნელეს გამოცვლით,
ისტორიისთვის ეს წლები სამრეკლო არის სამოცი!

პირველი წლები შენც გასსოვს — ჩვენ არაფრიდან ვიწყებდით
დაკოჟრულ ხელით მალიმალ ოფლს (პატიოსანს!) ვიწმენდით.

თვალს და ხელს შუა იცვალა კავის და გუთნის ქვეყანა,
ეს ქარბორბალა ფოლადის მხრებს უნდა გადაეტანა!

პირველ ხუთწლეულებს მსოფლიო ჯერ დაეჭვებით ზვერავდა,
მერე გაფუედა ფაშიზმი — თავზე დაგვაცხრა ძერადა.

მტერი ვაოტეთ, შენც იცი, რა დღე დაადგა ძერასა,
მაგრამ... დღესაც ვერ ვივიწყებთ ვაჟაკთა ვარსკვლავთ
ცვენასა.

კვლავ ხუთწლეულები, კოსმოსი და კოსმონავტი იური,
ჩვენ სიხარულიც არ გვაკლდა მიწიერი თუ ციური.

აჰა, მეათე ხუთწლედიც! მძლავრობს, შენდება სხვა რიხით,
ეფექტიანი ეფექტით, რალა თქმა უნდა — ხარისხით!

შენი ცხოვრებაც „ნიანგო“, არ იყო მშვიდი ლირიკა,
რაც გაიტანე, გაკვალე, გახსენებ ბილიკ-ბილიკად.

სხვისთვის გინდოდა, გეწადა, საკუთარს ხშირად აკლებდი,
არ მრუდდებოდა ქვეყანა იმ უტყუარი გზამკვლევიტ.

კორესპონდენტი არ გაკლდა — ხალხს ჰქონდა
შენი მოწმობა,
პირში ბურთს როდი იჩრიდი, იტყოდი, რაც არ მოგწონდა!

ზოგი კარს თავად გიღებდა, დიდხანს ვიკრავდა მკერდშია,
ზოგს, შენს დანახვას, სიდედრი რომ დაენახა, ერჩია!

შიშშილში, ომში შენს ხელკავს ითხოვდა ჩვენი ქვეყანა.
არ იყო წელი, საქმისთვის გეორგულა და გეგანა,

ლიმილით ტკივილს უცხრობდი, ავადმყოფს სიცხეს ჰპარავდი.
ფრთიანი, ფიცხი, ფიცვერცხლი... რა კარგი იყავ, რა მარდი!

სიმახინჯეს ვერ ჰგუობდი (მახინჯი თავიც გზარავდა),
შენს სამრეკლოში სულ რეკდა მართალი სიტყვა ზარადა.

...წინ მიხვალ, გიძღვის ვაჟაკო, ალალი სიტყვის ალაში,
ლომსაც პირიდან ააცლი ლუკმას, თუკია არამი.

ეფოფინები სიკეთეს, უკოცნი შუბლს და თვალ-წამწამს,
შენი პანდური სხვა არი, მარტო უქანალს არა წვავს:

სამოცდაერთში გადასვლას მიეგებები ამაყად,
წლებმა ეგ შენი კალამი სიმართლით მოავარაყა!

სიცილის პროსპექტს კვლავ შენი აჩრდილი ნუმც მოეშალოს,
ენას იგლეჯდეს სიმწრისგან, შარხანს ვედარ ეშაროს!

ტვინფუყეს, ხელცივს, გულბოროტს პასუხი უნდა მიაგო,
სინდისის ჯარისკაცი ხარ, შენ, ამხანაგო „ნიანგო“!

იცოცხლე, ქართულ იუმორს არ დაეძინოს. მანამდის!
შენი სიბერე ვინა თქვა, კულზე ნათელი გადაგდის!

ზაზა კაციანავილი



ნ.ხ. ჯ. ლოლუასი

— რა მოუვიდა თოვლის ბაბუას?
— თავისი მოტანილი მანდარინით პირი გაიხველა და სიხეხვემე აუწია!

ახალი წელი და ძველი სკამი

— აბა, ჩემო ცუციკო, დატრიალდი, გაშალე სუფრა!
— ახლავე, ჭიჭიკო, რახან შენ, ამ ახალი წლის დი-
ლას, „ჩემო ცუციკო“ წამოგცდა, დატრიალდები და
რას არ გვაკეთებ! ოღონდ, დერეფანში რომ ძველი
სკამი აგდია, თუ კაცი ხარ, სარდაფში ჩაათრიე, ძველი
არაფერი დაგვებედოს!

— არ გადამრიო, ქალო! ლიფტი არ მუშაობს და
მეცხრე სართულიდან ასვლა-ჩასვლა არ გინდა?! —
აუწია ხმას ჭიჭიკომ.

— არაფერი გიჭირს, ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით
ჩაიტან და იქიდანაც ნელ-ნელა ამოყობი! პირველ
სართულზე რომ ფაცია ცხოვრობს, იმას ჩემი ტორტის
ფორმა აქვს წადებული და იმასაც წამეიდვანიებ! ხომ
გვინდა ტორტი ამ ახალ წელს, ჭიჭიკუნა?! — მიესი-
ყვარულა ცუციკო ქმარს.

მეექვსე სართულამდე მშვიდობიანად ჩავიდა, ხო-
ლო მეხუთეზე გალაკტიონ ჭაშნიკაშვილმა დაიჭირა და
ძალით შეათრია სახლში.

შენ გენაცვალე, ჩემო ჭიჭიკო! შენი ფეხით რომ
ჩამოხვედი ჩემი ოჯახის დასალოცად, სკამიც თან წა-
მოიღე, ხომ?! კაცი ხარ კაცური! — ჩაკონცა გალაკტიონ-
მა და ხელში გიღლისხელა ყანწი მიაჩენა. მშვიერმა
ჭიჭიკომ საწყლად ახედა ჭერს და ყანწი პირზე მიი-
მხო.

მეოთხე სართულზე მეზობელი კატუშა გადაეღობა წინ
და აქაქანდა:

— რა კარგ ფეხზე შემხვედი, ბიჭო! შარშან შენ და-
მილოცე ოჯახი, შენ იყავი ჩემი მეკვლე და, თუ ძმა
ხარ, ახლაც არ მითხრა უარი, კარგად მაქვს შენი ფეხი
დაცდილი!

— მაცალე, ჩავიტან ამ ძველ სკამს სარდაფში და
მერე ამოვალ! — დაიჭყანა ჭიჭიკო.

— არავითარ შემთხვევაში! მაგას უკვე მეკვლე აღარ
ჰქვია! დადგი აგერ მაგი მონჯღრეული სკამი, ხუ გეშო-
ნია, არავინ არ წაიღებს და შემოდი! — კატუშამ ჯიკავ-
ჯიკავით შეიყვანა გაშლილ სუფრასთან.

პირველ სართულზე, ფაციასთან რომ შეიარა, თვი-
თონ ჩაასხა ღვინო ტორტის ყალიბში და მერე დაც-
ლილი ფორმა თავზე ჩამოიფხატა.

ცუციკომ რომ დაინახა თვალებამოტრიალებული ჭი-
ჭიკო, თავზე კოთხო-ჩამოცმული და დანჯღრეული სკა-
მით ხელში, ერთი შეიცხადა და ქმარს ქორივით ებ-
ღვნა.

— არ მინდა ლოგინი! ყანწი მინდა მე! — ღრიალე-
ბდა ჭიჭიკო.

— ყანწი კი არა, ტაშტი გინდა ახლა, შე უნამუსო!
როგორ ჩამაშხამე ახალი წელი?! გდებულები ეს ოხე-
რი სკამი დერეფანში, ჩემი ბრალია ყველაფერი!

— ტკბილად დამიბერდი, ჩემო ცუციკო და ჩემო თე-
მურიკა! — გაიძახოდა ჭიჭიკო და სპორტული კოსტუ-
მის ჯიბიდან ძლივს ამოჰქონდა ჩაწებებული გოზინაყი
და კამფეტები.

- „**წამოვლბი** ფეხი“... ამ ახალ წელს მაინც ნუ მკითხავთ, რა მიეცი მაგ ფეხსაცმელშიო?
- **აბრამც** ტკბილად დაგვიბერდი, შურო!
- **გონიერი** ახალი წელი ძველი წლის შესანდობარს არ დაღვეს.
- **ფუი**, ეშმაკს და — ძველ ვალებს!
- **მერიჩიფივ**, იქნებ მარტოობაც შემივისო!

ზ. პ.

ნახ. ჯ. ლოლუასი



— რას ერჩით მაგ თოვლის გაბუას?!
 — უფაქტურო საქონელი აღმოაჩნდა!

სკვამარეასკინძლობა

(პიესა)

ადმინისტრატორი: ადგილები არ არის!

ახალი წელი: აბა, რა ვქნა, გარეთ გავათხოო ლამე?

ადმინისტრატორი: გარეთ რატომ? სასტუმროების მეტი რაა? მარჯვნივ, მარცხნივ, პირდაპირ წახვალ, ყველგან სასტუმროა! პოდა, ამოირჩიე რომელიც გინდა: ჩადე ოცდახუთიანი პასპორტში, მიეცი ადმინისტრატორს და მოგცემს ბინას!

ახალი წელი: კი, ბატონო, მაგრამ ამდენს რას მარბენინებ, მაგას აქაც კი ვიზამდი!

ადმინისტრატორი: მერედა, ვინ დაგიშალა?!

რეკავ ოსეფაიფვილი

იაკალის მოყვარულთა საყუარღღეობ

რბღღ დასამალია და, ყველა ჩვენთაგანს, აქვს სურვილი, ახალი წლის დამეს თავისი ფანჯრებიდან ატეხოს ბათქაბუთქი. ამიტომ მილიციის მუშაკები სანთლით დაეძებენ ცეცხლმსროლული იარაღების კერებს, ბევრს უპოვენ და ჩამოართვენს კიდევც.

ვისაც ვსურთ, ჩუმად შეიძინოთ ხელყუმბარები, შაშხანები, ავტომატები, თოფები, პისტოლეტები, ქვემეხები და ზარბაზნები, ახალ წლამდე ორი დღით ადრე მობრძანდით და შეგაძენინებთ!

ჩვენი მისამართია: თბილისი, ბავშვთა სამყარო „წითელქუდა“.

ბ. ც.

მეკელის სკიპილუი

ას ახალ წელს შევხვედროდეთ ღიმილით და სიცილით. მუდამ ტკბილად, მუდამ თბილად და არასდროს — სიცივირ.

რახანია დაგვიზამთრდა, ზოგან ცივა ბინებში, იმედია, გაგვათბობენ და არ გავიყინებით.

თბოსისტემის მუშაკებო! იოლად ვერ გახვალთ ფონს, ცხელი წყალის მაგივრად თუ დაპირებით გაგვათბობთ!..

ავტობუსს და ტროლეიბუსს ჩვენი გული მოეგოს, შიგ ჩხუბს, ლანძღვას, აყალმაყალს ბოლო უნდა მოეღოს.

მძღოლმა საჭე უნდა მართოს და არ ყიდოს ბილეთი (ჩასვლისას რომ არ დაგვჭირდეს ჭიდაობის ილეთი).

კავშირგაბმულობის კვანძებს დაუფასოთ ამაგი: ხმა ყურმილში, ერთის ნაცვლად, ზოგჯერ გვესმის სამმაგი.

წესტაფონში დარეკავ და გიპასუხებს ცხინვალში! (ტელეფონი ხშირად ჯანმრთელს დაგამსგავსებს ინვალიდს).

სუყველაფერს რომ მოვეშვათ, დაგვადონა ამანაც — ხშირად ვხედავთ სხვის ყუთებში ჩვენს გაზეთს და ამანათს...

ვაჭრობაშიც კიდევ უფრო გვსურს წესრიგი დამყარდეს, მალაზიებს მომჩივანი რომ არავინ არ ჰყავდეს.

რომ დახლიდან საქონელი გვერდზე არვის გაჭქონდეს, რომ მარცხნისკენ სამუდამოდ გზა მოეჭრას საქონელს...

დავაფასოთ ყველა კაცი, შევებრძოლოთ არაკაცს, რომ არავის შერჩეს მუქთად ჩვენი შრომის ბარაქა.

ვინც ფულზე ცვლის სინდისს, ნამუსს

და მამულის ღირსებას, სხვებს ატყუებს წარამარა, თვით ყელამდე ივსება,

მლიქვნელი თუ გაიძვერა, მავნე, კარიერისტი, ვინაც ჩხირსაც არ აბრუნებს ქვეყნისთვის და ერისთვის, ყველა გონზე მოვიყვანოთ, ცხვირში ძმარი ვადინოთ, რომ ცხოვრება წესიერ კაცს უფრო გაუადვილოთ.

დავგმოთ ძველი, დრომოჭმული ყოველგვარი მანია, სანაგვეზე გავიტანოთ, რაც კი გასატანი.

გულს ხალისი მოემატოს, დარდი გაჭრეს, გაქარწყლდეს... სიყვარულით, სიხარულით შევხვედეთ ყოველ ახალ წელს!

ვანო ცინცაძე

მითუმეტი




— სად მივყავართ ამ ხალხს?
— ტყე ჩვენ აღარ დაგვიტოვებს და, ალბათ, ქალაქში ჩაგვწერენ!

ნახ. ზ. კუციანისი




უსიტყვოდ


ნახ. ჯ. ლომუხისი



უსიტყვოდ



უსიტყვოდ



უსიტყვოდ

მითუმეტი ახალი წლის წინა-
დღეებში ერთხელ კიდევ დაირ-
ბინა ტყე, ნორჩები რომ ვეღარ
მონახა, ღიდ ნაძვებს წამოუარა
და ნაჯახით წააქრა წვეროები.
ქურდულად ჩნდებოდა ქუჩაში
თითო ნაძვისხით ხელში და მა-
მასისხლად ჰყიდდა.

ბლომად ფული იშოვა, ქალა-
ქური სანოვაგე იყიდა, საჩუქ-
რებიც არ დაივიწყა ცოლ-შვი-
ლისათვის და სახლისაკენ გას-
წია.

ახალი წლის წინაღვე იყო.
ლორის დაკვლავ და ქვევრის
მოხდაზე ცოლი მიხმარა და მე-
რე კმაყოფილი მიუჭდა მოლულ-
ღულღე ბუხარს, რომლის ნაკვერ-
ჩხლებზე სუკი იწვოდა. ახალი
წლის დაყენება ძველებურად
უყვარდა მითუმეს, ახლანდლე-
ბივით ღამის თორმეტ საათამდე
კი არ უყვარდა ყურყურტი, აღრე
იძინებდა, რომ ღილაღამიან გა-
ღვიძებოდა. წამოდგებოდა, ტაბა-
კზე ღორის თავს, თავლით შე-
ზავებულ ღვინის ბოლოწოს —
აბრაამიანს რომ ეძახდნენ — და კი-
დევ სხვა ტკბილეულს დაწყობ-
და, სახლს გარშემო შემოატარე-
ბდა და მერღა გადააბიჯებდა
ზღურბლებზე. „შემოდგი ფეხი,
გწყალობდეთ ღმართი, ფეხი ჩე-
მი, კვალი ანგელოზისაო“, დაიძა-
ხებდა და მერე ახალ წელს ულო-
ცავდა ოჯახს.

ახლაც ასე მოიქცა. მიწვა თუ
არა, მაშინვე ჩაეძინა. და რა იხი-
ლა: მისგან თავწაჭრილი ნაძვები
შემოსეოდნენ მის ეზოს, მითუ-
მა შუაში მოგმწყვდიათ და მუ-
ქარით აქნევდნენ ტოტებს. „ტო-
ტი ტოტისა წილ, სისხლი სისხლი-
სა წილ“, ისმოდა მრისხანე ძახი-
ლი მათ შრიალში, ჩანდა, ძველი
კანონების მიხედვით უპირებდნენ
დასჯას. მითუმეტი შიშისაგან დაი-
ლია.

„თავი თავისა წილ“, — დაიგ-
მინა ცისფერმა სოჭმა, რომელ-
საც სათვალავით მეოცეს წააქრა
მითუმემ ღამაში თავი.

დაიგმინა სოჭმა, სატრეპარით
მოუქნია ტოტი და უცებ თავი

წააცალა მითუმეს. ნაძვებმა აი-
ტაცეს და ტყისთვის გაქანეს. აი-
რმე ნუ იტყვი, მათაც წესად
ჰქონდათ გამოსაჩენ ადგილას და-
ვიცლათ მოჭრილი თავი და ასე
შეხვედროდნენ ახალ წელს.

ნაძვები გაქრნენ. დგას უთავო
მითუმე ეზოში, ტაბაკი უჭირავს
ხელში და სახლის ირგვლივ დაა-
ტარებს. მერე კარს მიადგა, უნდა
ოჯახი დალოცოს, მაგრამ რო-
გორ? ალბათ ეელში ხროტი-
ნებდა, რაკი ოჯახს გამოეღვიძა.
გამოეგებნენ, უთავო რომ ნახეს,
შეიცხადეს, უწინ ცოლი მოეგო
გონს, ჯალაბი დააჩუმა, ხალხი
მოგროვდება და ახლა სირცხვი-
ლით მოუჭრება თავიო. მერე მი-
დგა და სხვა რომ ვერაფერი ილო-
ნა, ტაბაკზე ღორის თავს დას-
წვდა და ქმარს დაადგა. მითუმეს
უნდოდა ეყვირა, ღორი არა ვარ,
კაცი ვარო, მაგრამ ღრუტუნი
გამოეღვიძა. ცოლ-შვილი კი ანი-
შნებს, სახლში შემოდითო.

მითუმეც შეეგუა ღორბას,
სახლში შესვლა და ხმის ამოღე-
ბაც დააპირა: შემოდგი ფეხიო,
უნდოდა ეთქვა, მაგრამ ფეხებზე
დაიხედა და უარესად შემოეყა-
რა გულს — ღორის ჩლიქები გა-
მოსხმოდა.

— შემოდგი ფეხი, კაცო! —
შეუწყრა ცოლი.


— საღლა მაქვს ფეხები, ჩლი-
ქებით როგორ შემოვაბიჯო, ღო-
რის კვალი როგორ დავტოვო, კა-
ცო, ამ საახალწლოდ! — იყვირა
მითუმემ და გამოეღვიძა.

კარგად იყო, მაშინვე თავ-პირ-
ზე მოისვა ხელი და სარკესთანაც
მივიდა და როგორც იყო მოეშვა
გულზე.

„მადლობა ღმერთს, ჩვენში არ
არის ეგრეთი კანონები, — გაი-
ფიქრა, კიდევ ერთხელ ჩაიხე-
და სარკეში და დაეჭვებულმა
დასძინა: — დღესვე უნდა გადა-
ვიღო სურათი.“

მიმოიხედა: ოჯახს ეძინა, სუფ-
რა გაწყობილი მოჩანდა, მაგრამ
აბრაამიანზე ღორის თავი აღარ
იღო.

ელგუჯა მერაბიშვილი



ნ.ბ. შ. დვინსკინა




— აჰა, კაცმა მთელი ჯალაბი „დუბლიონებში“ გამო-
ჯვყო! მე რომ ჩემს ცოლს ჩაგაცვა, ტყავს გამაძროგენ: საი-
ღანო?!

ნ.ბ. ი. კომაროვილისა



ალათასა, ბალათასა,
ხელი ჩაყვანა პალათასა,
ერთი გომგი ბადმომვიბდე,
ღმერთი მოგებებს ბარაქასა!



— რამდენჯერ გაგაფრთხილეთ, ახალ წელს ბარეთ არ გამოხვი-
დეთ-მეთქი?!

— პირველად, როგორც კი მოვკარი თვალი, ჩემკენ შენს მიერ გამოს-
როლილი ხაშლამიანი თეფში მეგონა! — შიშნარევი ხმით დაიწყო ლე-
გინზე წამომჯდარმა ისიდორემ.

— იმ მომენტში მთლად გაღწეული და დაბრუციანებული იქნებოდა ალ-
ამაციერად გახედა ქმარს ფაციამ და იატაკის საწმენდ კონს-სველი
ტილო მოაშორა.

— მაკალე, ადამიანო! — გაწყრა ისიდორე, — ამ საიდუმლოს მარტო
შენ გიმხელ, სხვასთან არსად წამოვცდეს!

— რა იცი ამისთანა? — ყურები დაქვიტა ქალმა.

— რა ვიცი და... ჩემი თვალით ვნახე, სხვებზე უფრო მეტად ვი-
ვებუტურობ, — განაგრძო მან, — ის იყო, თავის წამოწევა მეორედ დაე-
პირე, რომ რაღაც უშველგებელი თეფშის, თუ გობისმაგვარი ჩემს წინ
ხრივინ-ხრივინით დაეშვა, მერე იქიდან, ასე ოთხარშინიანი ორი კაცი
მიწაზე ფეხსაუღმელად გადმოფრინდა და თავზე დევებივით დაამადგენ.

— ვაი, შენს პატრონს! მოგჩვენებია თორემ რა ტანადელიც იყვენ, ამ
დღილით, ორთავეს ავგრ არ ვეღაპარაკე? — გამოიკიმა ფაცია.

— ჰოდა, იმ უცხო გოლიათებმა უცებ ციმციმ ამწიეს, იმ „გობში“
შემართვის და მაშინვე საღლაც წარმოუდგენელი სიჩქარით გამაქანეს...
მართალი გითხრა, გვარიანად შემეშინდა, მარა თავს ძალა დავატანე და
მათი სახეები კარგად რომ დამხსომებოდა, თვალები ბუსავით დავაქვიტე...

— მერე, მერე? — ჩაერია ფაცია.

— სად მუშაობ? — რამდენიმე წუთის შემდეგ თავიანად მკითხა
ერთმა გოლიათმა და გულწასულს ცხვირში მგონი ბურნული შემაყარა.

— ახლა არსად, გუშინ გამომსაწყობეს... — ცხიკვებისაგან დაოსებუ-
ლმა ძლივს მოვანერხე ხმის ამოღება.

— გინდათ, მუშაობა დაგაწყებინოთ? — ახლა მეორე შეძვიტა.

— განათლება რა გაქვთ? — მკითხა ისევ პირველმა.

— რვა კლასი! — წამომცდა სიმართლედ.

— დაგაყარე მაგ ენაზე მიწა! — ნერვებმა უმტყუნა ფაციას, — ისე,
კაცმა რომ გკითხოს, ცოლით თავი გისკდება. იქნებ რომელიმე საწყობში
გამგე ქირღებოდათ... მერე, მერე რა დაგამახსოვრდა კიდევ, შე უღლეუ-
რო?...

— მერე გონება დავკარგე და აღარაფერი მახსოვს. მაგრამ ვეგც კმაო
იმისათვის, რომ მეცნიერებმა იმ ვიღაც ჰუმანიოლების ნაკვალევის მისა-
გნებად ეწო აგვიტალახონ!..

— კაცო, ეს ჰუმანიოლები ვინ ოხრებია? — გაოცდა ქალი.

— ჭურში ხომ არ ზინარ, ველარ გაიგე, მფრინავ თეფშებზე რომ გე-
უბნები?! აბა, ვინ მომიყვანა სახლში, თუ იცი შენ?.. — ლოგინიდან წა-
მოვარდა ისიდორე.

— მიშველეთ! ადრე ეშმაკები და ვირთხები ელანდებოდა: ოაეა წაი-
და ქვეყანა წინ?! — ავიშვიშდა ფაცია.

ალეკო გვირა

ლილოზი

- ნანევი ცხოვრება რომანის წერას შევალე...
- მიიღე რაზე?
- კი...ორი თბახი ლავი დამასხა ერთმა კრიტიკოსმა.
- გიფიქრით თქვენს თავზე?!
- რომ არ მეფიქრა, ბეწვის ქულს კი არ დავიხურავდი!..

ვაჟა ჯორდელი

გამოცხობილი ამოხანაბი

- მწარე პ რ ო ზ ის ტკბილი პროლოგი. (თ ა ფ ლ ო ბ ის თ ვე)
- ატანტალა, გვა ც ა ნ ც ა ლ ა, თმა თავიდან სულ გავცვალა. (ზ ო გ ი ე რ თ ი ს ა ხ ი ს ს ა პ ო ნ ი)
- რასაც ჩასხახებ, ორ იმდენს ამოგახახებ. (გ ა მ ყ ი დ ვ ე ლ ი)
- დღისით სძინავთ, ღამით ხვრინავენ. (ზ ო გ ი ე რ თ ი ს ს ა მ ხ ა ხ უ რ ი)

ავთანდილ ჭიჭერიძე

მ ი ნ ი

- ლექსების წერა დაიწყე?
- არა!
- აბა, ვერ დაივარცხნი თმებს?!
- მამი, ამიყვანე რა?
- აგიყვანო, რა ყიფიანი ხარ!
- ეს კაცი რომელ ენაზე ლა-
პარაკობს?
- ვულგარულად!
- შეჭარი გაქვთ?
- არა!
- მარილი?
- არა!
- აბა, რა გაქვთ?
- რადიკულიტი!
- საცერი ვარგა?
- წყალი არ გაუვა!
- ეს ქალი რამდენსანთლი-
ნია?
- ასი!
- აუ, რა ჩააქრობს!
- დამისახლე ჩანთოსანი!
- მაშაჩემი!
- შვალერი გაქვთ?
- არა!
- მაშინ ხალიჩა მომეციო!

მალხაზ ცოტაძე

აქან პისუჩეხე

ნაკლი ახალი წლიდანა
ნაკლები გვეპოვებოდეს!
არასწორ გზაზე ვინც იდგა,
ყველა სწორ გზაზე დგებოდეს!

ლოთი აღარა თვრებოდეს!
უზომოდ არვინ ძღებოდეს!
ჯიბეში არვინ ძვრებოდეს!
სირცხვილით არვინ კვლებოდეს!

ბოლო რიგებში ვინცა დგას,
წინა რიგებში დგებოდეს!
დეფიციტური რაც იყო,
გულუხვად იშოვებოდეს!

ტელეფონ-ავტომატიდან
ადვილად ირეკებოდეს!
ფენსაცემელ-ტანსაცემლები
ლაშაში იკერებოდეს!

ტრანსპორტის გაჩერებაზე
ნერვები არ გვაწყდებოდეს!
მძლოლი არ შეცდეს! -- მანქანა
არაფერს ეჯახებოდეს!

გამყიდველს ხურდის მოცემა
არასდროს ავიწყდებოდეს!
იქ, სადაც ქარიშხალია,
მედგრად, უშიშრად ვდგებოდეთ!

შრომა და გარჯა, ქებული...
არავის ეზარებოდეს!
ჩვენს ყველა ნაწარმს ხარისხის
ოქრონიშანი რგებოდეს
და ამ ეფექტურ ნაძვისხეს
ტოტები ღეზნიქებოდეს!

ნიკოლოზ იოსავიძე



ხარისხის ნაძვის ხე

856 77
30-XII

მთავარი რედაქტორი ჯურჯან გვიგენიანი სახელმწიფო კოლეგია: ზ. აბოშაძე (მთ. რედ. მოადგილე), ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლა, ბ. ლომიძე, ნ. მალაქოშვილი (მხატვ. რედ.), ბ. ნიშნაძე, ბ. სიხარულიძე (მხატვ. რედ.), ბ. შირვაძე, მ. ჯალია. © ტექნიკური რედაქტორი ა. კუბლაშვილი, © საბირჟა და იზმორის შრომის „ნიანგი“. © თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, საქართველოს კ. კ. გამომცემლობა, © გზაზე ასაწყობად 23/XI-77 ავტომობილის დასაბეჭდებლად 15/XII-77 ქალაქის ზომი 70x108/8 ფორმატი ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17. © საქართველოს კ. კ. გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. © შეკვ. 3487 უე. 00872 ტირ. 140.000 © თბილისი, პრ. რუსთაველი № 42. Сатирико-юмористический журнал «Нянги». © Издательство ЦК КП Грузии. © Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.

ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ

ნაბეჭდი თეგების ფტორე
ბი: ა. აღიუშვილი, ი. კოქა-
შვილი, ნ. ბარათაია, ვ. კუ-
ციბა, მ. ანთაძე.

